№ 16 იანვარი 22, ოთხშაბათი. 1886 იანვარი 22, ოთხშაბათი № 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 21 იანვარს

ჯერ ჩვენში ისიც არ არის გამოკვლეული, რას ჰქვიან იგი, «შინა და შინაური», რომელიც ლიტერატურას საერთოდ და ჟურნალ-გაზეთობას საკუთრივ უნდა ექვემდებარებოდეს? ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ადამიანის შვილი ერთის მხრით უფალია, მეორეს მხრით მოვალე. უფალია თავის საკუთარს საქმეში, თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ. აქ იმას თავისი განცალკევებული საკუთარი «შინა» აქვს. ეგ საკუთარი «შინა» მისი ხელ-შეუხებელი კუთვნილებაა და ამიტომაც კერა ადამიანისა პატივცემულია ყველასაგან, ვისაც არ დაუკარგავს გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ვისაც კაცი კაცად ჰსწამს. ამ ცალკე ინტერესების მოედანზედ ბძანებლობს ადამიანის მძლავრი «მე», რომელსაც, ვიდრე თავის ქერქშია, საზოგადოებრივი «ჩვენ» არამც-თუ ერჩის რამეს, არამედ თვითონ გუშაგად უდგა, რომ დაუსჯელად არავინ ხელიც არ შეახოს. ამ «ჩვენს» ბევრი უღვაწნია ქვეყანაზედ და დღესაც მთავრობის სახით იღვწის, რომ ადამიანის «მეს», თავისი კუთვნილი ადგილი უჭირველად დააჭერინოს და მშვიდობიანად ამყოფოს... აბა ერთი ინგლისში ეგ, ეგრედ წოდებული, კერა ადამიანისა შეჰლახეთ, თუ რომ მთელი საზოგადოება არ გამოუსარჩლოს, როგორ თუ გაჰბედეთ და ფეხი შეჰსდგით იმ წმინდა ტაძარში, რომელსაც ადამიანი თავის კერას ეძახის, და მშვიდობიანობა აუმღვრიეთო. სახელოვანი *Habeas Corpus*— ინგლისისა სხვა რა არის, თუ არ საფარველი იმ მართლა და ძვირფასის ადგილისა, რომელსაც ადამიანის საკუთარი შინა, საკუთარი კერა ჰქვიან და სადაც მისი «მე» მფლობელობს სხვის უვნებლად.

ეგრე ეპყრობიან განათლებული ქვეყნები საკუთარს «შინას» ადამიანისას; ეგრე ეპყრობა მაგას განვითარებული, ზრდილი, მართებული და პატიოსანი ლიტერატურა—ეგ ყოვლად ძლიერი ფარ-ხმალი, ეგ უანგარო მოსარჩლე და მფარველი ადამიანის ღირსებისა, უფლებისა და მოვალეობისა.

რაც უნდა დიდი დანაშაული იყოს, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად დამნაშავეს არ ეპატიოს, თუ რომ საკუთარის კერის მფარველობის გამოა მომხდარი. ადამიანის სინიდისს ცალკე და საზოგადოებისას საერთოდ ესე წმინდა საგნად მიჩნეული აქვთ ეს ადამიანის საკუთარი კერა, არამც თუ განათლებულ სახელმწიფოებში, არამედ ყველგან, საცა კი ადამიანია.

მეორეს მხრით, ადამიანი იმისთანა თვისებით არის ქვეყანაზედ გაჩენილი, რომ ყველაფერში განცალკევებული ვერ მოიხდენს, თვისთა მგზავსთა გარე ცხოვრებას ვერ შეიძლებს ვერას გზით და ვერას მანქანებით. რაკი ეგრეა, მრავალ-გვარი დამოკიდებულება ერთმანეთზედ აუცილებელია ადამიანისათვის, უმაგისოდ ადამიანთა ერთმანეთში მოთავსება შეუძლებელია და წარმოუდგენელი. აი ამ დამოკიდებულების გამო, ყოველს ადამიანს თავის საკუთარის «შინას» გარდა, სხვა გვარი «შინაც» აქვს, საცა იგი ერთი მრავალთაგანია და საცა ამის გამო მისი «მე» მოვალეა და «ჩვენ» ბრძანებელი. ეგ «ჩვენ» თვითონ საზოგადოებაა, ანუ მთავრობა ესე იგი—იმისთანა წყობაა, რომელიც მარტო იმისთვის არის, რომ თვითვეულის ადამიანის ფარიც იყოს და ხმალიც საჭიროებისამებრ. ღრმად რომ ჩავუკვირდეთ თვითონ საზოგადოების არსებობის საგანსა და მიზეზს, დავინახავთ, რომ იგი სხვა არ არის-რა გარდა იმისა, რომ ადამიანის «მე» თავის ჯეროვანს ადგილას დასვას ისე, რომ მის ცალკე ბედნიერებას, ცალკე კეთილ-დღეობას, სიკეთეს არა აბრკოლებდეს რა, მის სულსა და გულსა ფრთის გაშლას არა უშლიდეს რა, თუ რომ სხვის ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს. მთელი პროგრესსი კაცობრიობისა ამაზეა მიმართული, მთელს მოღვაწეობას კაცობრიობისას საგნად მარტო ესა აქვს და სხვა არა-რა. რომელი მოძღვრებაც გინდათ გასინჯეთ, ეხლანდელი, თუ უწინდელი, ყველას სახეში ისაა აქვს, რომ თვითვეულის ადამიანის «მეს» უჭირველი ბინა დაუდოს ამ ქვეყნიერობაზედ და შეძლებისამებრ ჯეროვანად და უმეტნაკლებოდ ბედნიერ ჰყოს.

ამ გვარად ორ ნაირი «შინა» აქვს ადამიანს თავისის ორ ნაირის მოთხოვნილებისა გამო ბუნებითად. ერთში საკუთრად თვითონ ჰცხოვრობს, საკუთრად თავისთვის მოქმედობს და ანგარიშს არავის არ აძლევს. მეორეში კი იგი სხვასთან ერთად არის, სხვასთან ერთად იღრწვის და მოქმედობს, სხვაზედ გადაბმულია, სხვაზედ დამოკიდებულია, თავისი «მე» სხვის «მე»-სთან შეწონილი, და შეფერებული ჰყავს. აი ამ უკანასკნელს სფერაში აიგება ხოლმე იგი «შინა», საცა მარტო მთავრობითი «ჩვენ» ჰღაღადებს და «მე»-ს, როგორც ცალკესა და კერძოს, არავითარი ხმა და ადგილი არა აქვს. აი ამ სფერაში ჰსჩნდება და იბადება, სხვათა შორის, იგი საქმეები, რომელსაც საზოგადოება თავის შინაურს საქმეებს ეძახის და რომელიც კაცს შეუძლიან საგნად აიღოს ჯეროვანის განსჯისა და განკითხვისათვის. აი მარტო ეგ სფერაა იგი სარბიელი, საცა ღირსეული, თავისის თავის პატივმცემელი ლიტერატურა და ლიტერატურის მოღვაწე ხან თავის ფარს ხლმად უნდა აქცევდეს და ხან ხმალს ფარად.

რამდენადაც თვითვეული ადამიანი მონაწილეა საზოგადოების საქმეებისა, რამოდენად იგი, ავად თუ კარგად, მოქმედი და მოღვაწეა ამ გვარს შინაობაში, იმოდენად იგი განსასჯელია და განსაკითხავი საყოველთაოდ და საქვეყნოდ. ამის გარე ადამიანი ხელ-შეუხებელია და მისი მოქმედება და საქმე საკუთარი მისი განსაკითხავი საგანია და არა ლიტერატურისა, რომელიც მარტო საზოგადოების შესახებთა საქმეთა მეთვალ-ყურეა და გამკითხავი.

დეპეშა

იანვრის 21.

პეტერბურგი. დროებით ნება დაურთვიათ, რომ პატენტები მიეცეთ იარმუკებზე სასმელების გასყიდვისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს სასმელების საქმეთათვის დაწესებული გამგეობა. პატენტები მიეცემათ, იმ დღიდგან კი არა, როცა ოფიციალურად გაიმართება იარმუკა, არამედ იმ დროდან, როცა ვაჭრობა ნამდვილად დაიწყობა.

ტაშკენტი. ამ დღეებში წავა პეტერბურგს ბუხარის ემირის დესპანი.

პორცმუტი. გლადსტონი ოსბორნში მიდიოდა დედოფლის სანახავად და გზად აქ გამოიარა. როცა აქაურმა მერმა სალამი მიართვა, გლადსტონმა სთქვა: «ჩემი სამსახური ხანგრძლივი არ იქნებაო».

პარიჟი. შავის მთის მთავარი გუშინ პეტერბურგს წავიდა.

ლონდონი. ორთავე პალატაში გამოაცხადეს, რომ დედოფალმა შეიწყნარა სალისბერის კაბინეტის გადადგომა და გლადსტონი დათანხმდა ახალი სამინისტრო შეადგინოსო. პარლამენტის კრება ხუთშაბათამდე გადაიდვა. ახალ სამინისტროში ვინ იქნებიან, ჯერ ნამდვილად არა ითქმის-რა. დედოფალმა ლორდი გრანვილი ოსბორნში მიიწვია.

ახალი ამბავი

⁂ აქამდის რომ პრიკაზში დაგირავებულ სოფლის მამულების საქმე შემდგარი იყო, ახლა კვლავ მოძრაობაში მოვიდა. რუსულ გაზეთ «კავკაზის» უკანასკნელ ნომერში გამოცხადებულია 47 მამული ტფილისის გუბერნიისა საჯარო გასასყიდად, თუ ჯე-

ფელეტონი

ბერძენ-რომაელთა და ქართველთ ზოგიერთ ჩვეულებათა მსგავსება

(დასასრული *)

რადგანაც, ფიუსტელ-დე-კულანჟის აზრით, ბერძნებისა და ინდოების სჯული ერთმანერთსა ჰგავს, იგი ამბობს (გვ. 26): ცხადია ბერძნებს არ გადმოუტანიათ ეს სჯული ინდოელებისაგან, არც ინდოელებს ბერძნებისაგანაო, ხოლო სჩანს ბერძნები, იტალიელები, ინდოელები ეკუთვნიან ერთსა და იმავე მოდგმას; მათ წინაპართ, ძველის-ძველ დროს უცხოვრიათ შუა აზიაში. აქ შემოუღიათ ეს სჯული და დაუდგენიათ ეს წესები. ცეცხლის აღსარება იმ შორეული და ბნელი დროებისა არის, როდესაც არც ბერძნები ყოფილან, არც იტალიელები, არც ინდოელები, არამედ მარტო არიელები. როდესაც ესენი ცალკ-ცალკე ტომებათ დაყოფილან, ეს წესი და სჯული თან წამოუღიათ. ერთს—განგის მდინარისაკენ, დანარჩენს ორთ კი ხმელთა შორის ზღვის ნაპირადაო. ამას მე დავუმატებ, რომ რადგანაც ქართველნიც არიელთ შთამამავლობისანი არიან, ამათაც, როცა საერთო სამშობლოდამ აყრილან, იგივე სჯული და წესები თან წამოუღიათ მტკვრისა, ენგურისა, რიონისა და ცხენისწყლისაკენ.

ამ ცეცხლის სარწმუნოების კვალი მოჩანს კიდევ ერთ ჩვენ მითოლოგიურ ღმერთში, რომელსაც ეწოდება ბოჩი. ეს ბოჩი პირველად ელვის (იმავე ცეცხლის) დასაბამის წარმომადგენელი ყოფილა, ისე, როგორც ინდოელების ვაჩი, ელვის ქალ-ღმერთი და ოსების ვაჩ-ილა ქრისტიანობის დროს წმ. ილიად გადაქცეული. სამივენი ერთსა და იმავე ღვთაებას აღნიშვენ. არიელთა მოდგმის აქედ-იქით განბნევის შემდეგ ბერძნებმა, იტალიელებმა და ინდოელებმა მისვლა-მოსვლის უქონლობის გამო, გაიჩინეს ერთმა ძევსი, მეორემ იანუსი და მესამემ ბრაჰმა, და ქართველებმაც ბოჩი. შემდეგ ბრაჰმამ და ძევსმა ცეცხლის აღსარება მეორე ხარისხზედ დააყენა. ბოჩასაც დაჰკარგვია პირვანდელი მნიშვნელობა, მხოლოდ ცოტადღა შერჩენია ამ აღსარების კვალი და ქალის სქესის დამკარგველი ვაჟად გადმოსულა ჩვენს მითოლოგიაში. ელვა-ქუხილის დროს კავკასიის მთებიდამ ხმა-ბანის გამგონე ძველ ქართველს შეუცვლია აღსარება, სალოცავად გაუხდია მხოლოდ ის მთები, რომელნიც უკუვ გამოსცემენ ხმას, ჰექასა და ქუხილს. მას აქედ ბოჩი კავკასიის მთების ღმერთი გამხდარა.

როგორც ეხედავთ, ცეცხლის სარწმუნოებას, კერის პატივის-ცემას უფრო შეუნახავს თავი ჩვენში. რომაელებში ამ კერის ცეცხლის გაუქრობლობამ ბევრი სხვა-და-სხვა წესი შემოაღებინა ოჯახში; სხვათა შორის წესი შვილად აყვანისა. პირველად ძნელი წარმოსადგენია, კერას რა მისამართი აქვს შვილად-აყვანასთან, ვისმე შვილად მოკიდებასთან, მაგრამ ბუნებრივი და მიუცილებელიც გვეჩვენება, როდესაც ახლო მიუვალთ საგანს. იქ შვილობილის ვალი იყო კისრად აელო შესაწირავებისა და წესების აღსრულება კერას წინაშე, ვინაიდგან პატრონის უნატამლოდ გადაშენებით კერაც უქმდებოდა და ამის გამო მიცვალებულს დაწესებული პატივი და თაყვანი აკლდებოდა. ამას გარდა ცოლი იქნებოდა უშვილო თუ ქმარი, უნდა განქორწინებულიყვნენ, რომ უმემკვიდროდ არ გადაშენებულიყვნენ. «მენეკლეს არ უნდა უშვილოდ სიკვდილიო, ამბობს ათინელი ორატორი იზე,—მისი სურვილი იყო მემკვიდრე ჰყოლოდა ვინმე, რათა მისგან დამარხული ყოფილიყო და წეს-აგებული. თუ არ შეიწყნარებთ და მენეკლეს მოჰკლავთ უშვილოთ, არავინ დარჩება მისთვის შემწირველი, ქელეხის გადამხდელი და ბოლოს კერასაც თაყვანის-მცემელი აღარ ეყოლებაო. (*Jsée, De Ménecl. heredit.* 10—46). მაშასადამე შვილად აყვანას კავშირი ჰქონია კერასთან, მითომ და ოჯახში კერა არ გაჰქრესო. ჩვენებურის კერის პატივის-ცემა და შვილად აყვანა იმავე ბერძნულ-რომაულ ჩვეულებასა ჰგავს; მხოლოდ ჩვენში შვილად-აყვანას თითქო კავშირი აღარა აქვს კერასთან. დღეს მამობილი, დედობილი, შვილობილი, ძმობილი, დობილი, თითქმის ცარიელი სიტყვებია, თუმცა შვილად აყვანა, შვილად მოკიდება, შვილობილობა, ძმობილობა, დობილობა გვწამს, როგორც წმინდა რამ. ძმობილობის ან შვილობილობის ნიშნად, რომ ძუძუს პირში ჩადება ვიცით, ეგ ამ წესის საიდუმლოებას უნდა მოასწავებდეს.

თავ-თავის მიცვალებულის პატივისცემას, მათ სახლის მახლობლად დამარხვას, მათდამი თაყვანის-ცემის გასაადვილებლად და უცხო მკვდრების შეუწყნარებლობას, უცხოთ სარწმუ-

---

*) «ივერია», № 16.

რის შესატანი ვალი თავის დროზედ წარდგენილი არ იქნებაო. ჯერ-ჯერობით ვადა დანიშნული არ არის, მხოლოდ მოხსენებულია, რომ ნაწყალობევი ვადა გავიდაო. დაგირავებული მამულები არის ტფილისის, გორის, თელავის, სიღნაღის და დუშეთის მაზრებისაო. სასურველი იყო, რომ ამავე განცხადებაში ყოფილიყო მოხსენებული, როდის გავიდა ვადა. დროა ახლა, ჩვენმა მამულის პატრონებმა თადარიგი გასწიონ და კარგა შეიტყონ, დაუბოლოვებელის საქმის დასაწყისი ბეჯითად იწყება.

⁂ გაზეთები გვაცნობებენ, რომ ქუთაისის და სტავრაპოლის გუბერნატორები დაბარებულნი არიან მთავარ-მართებლისაგან პეტერბურგსა. უკვე წასულან კიდეცაო.

⁂ იმიერ კასპიისაკენ ამას წინად დიდი მადანი აღმოჩნდა გოგირდისა. კერძო პირთ დაიწყეს მისი შემუშავება და გოგირდი ისეთის კარგის ღირსებისა გამოდგა, რომ მმართებლობამაც ყურადღება მიაქცია ამ მდიდარს მადანს, ისე რომ გაზაფხულზე თვით ხაზინა დაიწყებს მის შემუშავებას. «ეს გოგირდი, ამბობს გაზ. «კასპი», გასინჯულ იქმნა პეტერბურგში და საუკეთესოა თოფის წამლის მოსამზადებლადაო.»

⁂ ამ ბოლოს დროს ჩვენში თან-და-თან შემოდის ხმარებაში სხვა-და-სხვა ევროპიული იარაღი სასოფლო მეურნეობისა, როგორც მაგალითებრ, გუთანი, სამკალი, სანიავებელი, სათესი მაშინა და მებრვე სხვ. მაგრამ ამ იარაღის დაბარება სამზღვარ-გარეთიდამ ცოტა არ იყოს, ძნელი მოსახერხებელიც იყო და ძვირადაც ჯდებოდა. ამ ბოლოს დროს ხომ უფრო და უფრო ძვირად ჯდება მათი დაბარება, რადგან დიდი ბაჟი დაიდო ამ გვარ მაშინებზე. ამისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა, რომ ამ გვარი სამეურნეო იარაღი აქვე, ადგილობრივ კეთდებოდეს. იყო კიდეც მაგალითები, რომ აქვე აკეთებდენ ზოგიერთა მაშინებს, მაგრამ ამ საქმემ როგორღაც ვერ იხეირა. ეხლა, როგორც გაზ. «კავკაზი» ამბობს, ვიღაც თუჯის ქარხნის პატრონს რენკვისტს განუზრახავს ტფილისში საუკეთესო სამეურნეო იარაღების მომზადება და ბევრად იაფადაც, ვიდრე სამზღვარ-გარეთიდამ დაბარებული. ვისურვებთ რომ ამ საქმესაც ხელი არაფრით არ შეშლოდეს და სრული წარმატება მისცემოდეს.

⁂ იგივე გაზეთი გვიამბობს ერთ ახირებულ ქურდობის ამბავს ჩვენს დალოცვილს ტფილისის ქალაქში: ერთს დილით მივა მასწავლებლის კირშნერის სადგომთან ერთი რიგიანად ჩაცმული ახალ-გაზდა და დაუწყებს ზარს რეკას. მოსამსახურე გაალებს კარებს. ახალგაზდა კაცი აწვდის წერილს და ეუბნება, რომ ეს შენს ქალ-ბატონს გადაეცი საჩქაროზედაო. გულ-უბრყვილი გოგო მიდის ქალ-ბატონთან, რომელიც უგზავნის მოუწვეველს სტუმარს სამს შაურს მოწყალებას, რადგან წერილში მოწყალებას სთხოვდენ. მაგრამ ვიდრე გოგო უკანვე გამობრუნდებოდა, სტუმარმა კაბინეტი მოათვალიერა კიდეც და ერთი პატარა ყუთი, საცა 120 მან. ყოფილა ჯიბეში იკრა. გოგომაც სამი შაური მოუტანა. ეს სამი შაურიც ჯიბეში ჩაიდო და გაქრა, ვითარცა კვამლი. ესეც ახალის მოდის ქურდობა, ესრედ წოდებული «ჟულიკობა» ევროპის დიდის ქალაქებისა ჩვენშიც შემოვიდა!

⁂ 20 იანვარს მე-9 განყოფილებაში პოდპოლკოვნიკის შავროვის ქვრივისათვის მოუპარავთ კამოდიდამ ვერცხლისა და ოქროს ნივთები 500 მან. ღირებულობისა. შავროვისას გამოუცხადებია, რომ ეჭვი მაქვს პარუჩიკის ტერიევის დენშჩიკზე არხიპ ნოვიკოვზე, რომელიც წინად ჩემს სახლში იყო და გასაღები მომპარაო. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 20 იანვარსვე ღამე ერევნის მოედანზე ქურდებს გაუტეხიათ მე-2 გილდიის ვაჭარის გრ. ალიბეგოვის ჩაის მაღაზია და ყუთებით ჩაი გაუტანიათ.

⁂ 19 იანვარს ოლგინსკის ქუჩაზე გდებულა უგონოთ მთვრალი ტფილისის მცხოვრები დავით მაისურაძე. პოლიციას სამკურნალოში გაუგზავნია და იქ გადაცვლილა.

ნაკვესი

ძველს დროში გურიელს დაემარცხებინა ოსმალო და განედევნა სამზღვართაგან, ამის გამგონეს ერთს გლეხს, დაუნახავს რა გურიელი, ატაცებულის სიხარულით შეუძახნია:

— ბატონო, წახდნენ ოსმალნი, შინისაკენ პირი იბრუნესო.

— რეგვენო, წახდნენ კი არა, აწ გაკეთდა მათი საქმე: შკვაზედ მოვიდნენ, თავიანთ სახლში მიდიანო, მიუგო მთავარმა.

ჯ.

ერთი გლეხი ქორწილში ყოფილა, ლაზათიანად შეზარხოშებულა და იმდენი ულაპარაკნია, რომ ყველასთვის თავი მოუწყენია. ეს გლეხს უგრძვნია და წასვლის დროს ასე მოუხდია ბოდიში:

ტყეში რცხილა გამოვჭერი,
გამოვთალე ნავათაო,
თქვენი მტერი და დუშმანი
სულ დამხდარან ავათაო,
და თუ თავი შეგაწყინეთ
ნურას უკაცრავათაო.

ს...

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ. გორი, 17 იანვარს. თუმცა რუსული ანდაზა ამბობს, რომ კუზიანს მარტო შავი მიწა თუ გაასწორებსო, მაგრამ მე მაინც ამ კუზიანს, გაუსწორებელს გორზედ მსურს ჩამოგიგდოთ ლაპარაკი. როგორც მოგეხსენებათ, გორი მდებარეობს საშუალ ქართლისა; იგი ესრედ-წოდებულს შიდა-ქართლს შიგ კრიჭაში გახჩხირვია და გარს ზარტყებივით შემოუხსავს წვრილ-წვრილი სოფლები; იგი ამ სოფლების მუცელია: ყოველივე სოფლის ავლა-დიდება აქ იზიდება და ინთქმება. ჰაერით, წყლით, მდებარეობით, მეტადრე სალი მდინარეებით, გორი მდიდარია, იგი ჰგავს მორთულს, კოპწია პატარძალს, რომელიც გარედამ მტერს უყენებს თვალს, შიგნიდამ მოყვარეს. ეს კოპწია, შეხედულობით მშვენიერი, ქალაქი შიგნით მყრალია: ქუჩები მუდამ ბინძურად შენახული, დაოღრო-ჩოღროებული; ერთად-ერთი შესანიშნავი ქუჩა არის დიდი ქუჩა, წოდებული მეფის ქუჩად, სადაც დასეირნობს ხალხი, სადაც მუდამ შეხვდება ნაცნობს თუ უცნობს; ისაა მოკირწყლული ყოველ-ნაირი უწმინდურობით, რომ კაცს შეჰზარავს მისი დანახვა. ნუღარ გიტყვით იმას, რომ მთელი გორი ტალახში სცურავს და ასეთი სუნი უდის, რომ ადამიანი ცხვირზედ ხელ-მოუკარებლად ვერ გაივლის. თვითონ მკვიდრნი არ ცდილობენ ქალაქის სისუფთავეზედ; მკვიდრთა სული და გული მიქცეულია მხოლოდ ცარცვა-გლეჯისაკენ; მთელი გორი წარმოგიდგენთ ერთს დიდს დუქანს: დიდი და პატარა წვრილმან ვაჭრობას მისცემიან, დღესა და ღამეს ატარებენ იმ ფიქრში, თუ როგორ კარგად მოაგვარონ ვაჭრობის საქმე, იაფად იგდონ ხელთ ყოველივე სოფლებიდამ შემოტანილი და მამა-სისხლად ჰყიდონ ქალაქის მცხოვრებლებზედ. ყველაფერს, რაც კი სოფლებიდამ შემოდის, ნეხვის დანაფასებად ჩაიგდებენ ხოლმე ხელში აქაური ვაჭრები: ხორაგეულს, სანოვაგეულობას, საკლავს, მიწის მოსავალს და მებრვე სხვათა.

მაგალითებრ: ჰყიდულობენ	ფასი.
კართოფილს	15 კ. 20 კ.
კომბოსტოს	15 — »
ლობიოს	60 — »
სიმინდს	30 — 35
ხორბალს	55 — 60
ქერს	40 — 45

ახლა საკლავი ავიღოთ: თოხლი ცხვარი წყვილი 2 მ. 40 კ., ძროხა 10 მ. ძრიელ ბევრი 13—14 მ.; ქათამს, ინდოურს და სხვა ორ-ფეხ ცხოველებს ნუ იანგარიშებთ; წრეულს ღორი ხომ ოხრად არის. ყველა ეს უფრო ფასში ეხლა იყიდება; როცა ფოსტის ფულობა მოატანს ხოლმე, მაშინ, რადგანაც მცხოვრებნი ერთობ შეჭირვებაში არიან და კარს იასაული უკაკუნებს, ამ მოყვანილს ფასებზე კიდევ ნაკლებად ჰყიდიან.

რადგანაც ცხვარის ფასი ერთობ დაეცა, ზოგიერთა ცხვრის პატრონებმა სოფლებიდამ გამორეკეს გორში, ჰკლავენ თითონ და გირვანქას შაურად ჰყიდიან. რაც უნდა იყოს, მთელს ცხვარში ორ მანათამდე იღებს ზედი-ზედ რომ იანგარიშოს თოხლი და ჭედილა.

ასე იაფად რომ ყიდულობენ ყოველიფერს სოფლიდამ შემონატანს, თვით ჩარჩი ვაჭრები, როგორ ჰყიდიან მცხოვრებლებზე? ერთი სამად და ოთხად. ბაყალთან კართოფილს ორს კაპეიკ ნაკლებად ვერ იყიდი გირვანქას, აგრეთვე კომბოსტოს და სხვ. ხორცის მაზანდა შვიდი კაპეიკია, მაგრამ ყასბები ნაზრობენ, არ ყაბულობენ ამ მაზანდას და გამოჯიბრებით აღარ ხოცვენ. ქალაქის სამმართველოსაც დაუკრებნია გულ-ხელი და შესცქერის მათს უგვანობას: უნდა ერთს რომელსამე ყასაბს მისცენ ნება საკლავის ხოცვის და გასყიდვისა, ან არა და თვით სამმართველომ ითავოს და ახოცვინოს, და მაშინ ვნახავთ, დახოცვენ დანარჩენნიც და გაჰყიდიან სამმართველოს მიერ გადაჭრილ მაზანდაზე თუ არა.

ბაზარი ძვირად თუ როდისმე იშინჯება სამმართველოსაგან და ექიმისაგან. სასწორები, საწონები, საწყაოები ყველას ნაკლები თურმე აქვთ ბაზარში. ხშირად შეხვდებით დამპალს ხილს, აყროლებულს თევზს, ორი კვირის მწვანილს. მიკიტნებს ერთი კვირის მოხარშული საჭმელი უდგიათ ქურაზე; ამას წინად ცოტას გაწყდა, რომ რამდენიმე კაცი არ მოიწამლა აყროლებულის, ერთის კვირის ნადგომის ხაშითა. რომ გავყვეთ, სად ჩამოვთვლით ყველა იმ უხეირობას, ბინძურობას, რომელნიც გორში სუფევენ უპატრონობისაგამო. მხოლოდ გასაკვირველია გორელის მცხოვრების აგებულება, მისი სტომაქი, როგორ უძლებს ამდენს დამპალს საჭმელს!

უფრო გათამამდნენ აქაური მოვაჭრეები იმიტომ, რომ გაზეთებში აღარ ისმის მათი ქება და დიდება ამ გვარის ქცევისათვის. ქართული გაზეთი ამ მხრივ ძრიელ შველის საქმეს. ვიცით, რომ მწერლობა ცხოვრების სარკეა, როგორც პირის-სახე სულისა; მასში აღიბეჭდება ყოველივე ცხოვრების მოვლენა ავია იგი, თუ კარგი. იგი (მწერლობა) თუ სამუდამოდ არ სპობს უგვანს მოქმედებას კაცისას, დროებითაც არის მაინც ჰლაგმავს, კრიჭას უკრავს, ფეხს ღრმად აღარ ადგმევინებს. აი მაგალითი: როდესაც «დროება» დახურეს, მეორე დღესვე აქაური მანდილოსნები (შლაპოსნები, ანუ «თავ-კოშკიანები» ბაიბურშიაც არ იყვნენ) სიხარულით ცას დაეწივნენ. მაშინვე დაატარეს ერთი მანდილოსანი დანარჩენ მანდილოსნებთან, რომ «დროება» ხომ აღარ არის, ვიღა გაგვკიცხავს და მოდი და «ლოტოს კლუბი» გავმართოთო. სთქვა, გათავდა. ეხლაც არსებობს ეს კლუბი ერთი მანდილოსნის სახლში ფარულად. კვირაში ერთხელ მიდიან და თამაშობენ. შესვლის ფასს ორ შაურს იღებენ, აგრეთვე სანთლისას და სხვ. თვით სახლის პატრონი მანდილოსანი უფულოდ შეექცევა ლოტოს,—ეს სახლის ქირაში თუ უთავაზეს. დახე-და საიდამ სად გადავიდნენ ჩვენი მანდილოსნები!! «ვეფხვის ტყაოსნის» კითხვიდამ «ლოტოზე» ჩამობძანდნენ. ასე იცის განათლე-

---

ნოების უგულებელ ყოფას უნდა წარმოედგინა ძველი რომაელისთვის რაღაც მისის კერისა, მისის მიცვალებულების სასაფლაოს მოვლის, მათის დასაკუთრების იდეა. ეზო, რომელიც ჰყოფდა ერთს ოჯახს მეორისაგან, შეუმუშავებელი მიწის ზანდით იყო შემორტყმული. ოჯახის მამა შემოუვლიდა აი ამ ხაზს, მათის ოჯახის სამფლობელოს სამზღვარს წლისა და თვეის ზოგიერთ დანიშნულ დღეებში; წინ გაირეკდა სალვთოდ გადადებულ საკლავს; საგალობელს ამბობდა და სწირავდა საკლავს. (*De re rust.*, 141. *Script. rei agrar.*, *édit Goez.*, *p.* 308). ოჯახის მამა ზოგიერთ ალაგს დღესაც უვლის ეზოს დილა-ადრიანად, თუმცა არავითარ წესებს აღარ ასრულებს, მაშინ, როდესაც ბერძენ-რომაელს ჰსწამდა, რომ მხოლოდ ამ წესის შესრულებით მოწყალის თვალით მოახედებდა ღმერთებს მისის მინდვრის, მისის სახლისკენ; მინდვრისა და სახლის გარშემოვლით იგი აღნიშნავდა თავის საკუთრების მართლიერებას. რა მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ მოხუცს, ძველის ჩვეულების კაცთაგან დილა-ადრიანად ოჯახის გარშემოვლას, ძნელი ასახსნელია, თუ საგანს არ დავუკვირდებით. რომ ამ წესის შესრულებაში რაღაც რამ საგანია, ამას ვერავინ ვერ ჰყოფს უარს. ზოგიერთმა მოხუცებმა ცეცხლის დანთებაც კი იციან რიჟრაჟზედ, ეზოს გარშემოვლის შემდეგ.

ამ კერის მთავარი რომში მამა-კაცია, იგია ნამდვილი მამასახლისი (*pater familias*); ქალს უფროსობა არ ჰქონია კერის წესების შესრულებაში. გათხოვებამდე მამის ხელ-ქვეითი იყო და რომ გათხოვდებოდა, მამის სარწმუნოება უნდა დაეტოვებინა და სამთილოს სარწმუნოების აღმსრულებელი უნდა გამხდარიყო. იქ ქმრისგან დასწავლებულ ლოცვას ამბობდა და ლიტონი მონაწილე იყო კერის მსახურებაში.

რომში იგი დიასახლისად გახდებოდა (*mater familias*), მაგრამ, როცა ქმარი მოუკვდებოდა, დიასახლისი აღარ იწოდებოდა. და როგორც ფესტი ამბობს (გვ. 125) დიასახლისადაც არ იწოდებოდა, ვიდრე მისი ქმარი მამასახლისად არ იქნებოდა წოდებულიო. ყოველ შემთხვევაში მამა-კაცზედ იყო დამოკიდებული ქალის ვინაობა სახლში. მამა-კაცის ანუ ქმრის ძლიერების აღსანიშნავად რომაელებს ჰქონიათ ერთი უძველესი სიტყვა, რომელიც მათ იურის კონსულტებს კიდეც შეუნახავთ: ეს არის *manus* (ხელი). კომენტატორები ამას ხსნიან უშვერის ძალის გამომხატველად, მაგრამ შეცდომაა, ცოლი ქმარს ემორჩილებოდა ქორწინების და იმ წესების გამო, რომელთ შესრულება მარტო ქმარს შეეძლო.

Pater familias, mater familias, manus (მამასახლისი, დიასახლისი, ხელი) შეიძლება გადმოტანილი იყოს ძველის რომიდგან, მაგრამ მათი არსებობა ჩვენში ძველის-ძველად საეჭვოდა ხდის, ვითომ და ეგ ნავასხი იყოს. ჩვენებური მამასახლისი მაშინდელია, როდესაც ჩვენი წინაპარნი გვარ-გვარეულობით სცხოვრებდენ და თვითოეულსავე გვარეულობას თავის უფროსი ჰყავდა. მცხეთის მამასახლისის უპირატესობა დანაშთენ მამასახლისებზე მით აიხსნება, რომ გვარი დაყოფილა და უფროსობა ძირეული კერის წარმომადგენელს შერჩენია. რომაელის წესის მიხედვით, დიასახლისი მამასახლისის თანამედროვე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენში ამას ვერა ვხედავთ. ხელის ხმარება ჩვენ სჯულმდებელობაშიაც შესულა და ცხოვრებაშიაც ვხმარობთ; მაგ. რა ხელი გაქვსო, რომ ვიტყვით, ამით ვხატავთ უფლებას, რომელსაც ვეცილებით. სრულის უფლების პატრონისთვის დაგვირქმევია ხელმწიფე, უფლება სრული. ეს განყენებული ცნება მიგვითვისებია იმ პირისთვის, რომელიც მას ასრულებს, რომლისგანაც იგი გამოვალს.

კერა, მამასახლისი, ხელი ერთმანეთთან ისე ახლო არიან, რომ მათი ცალკე არსებობა წარმოუდგენელი რჩება, თუმცა ჩვენში დღეს მათ შორის ერთმანეთზე დამოკიდებულობა გამქრალა ქრისტიანობისა და სხვა-და-სხვა გარემოების ზედ-მოქმედებით. კერას ყოველთვის ჰყავდა მოძღვარი; ეს მოძღვარი იყო ქმარი, ცოლის ხელმწიფე, რადგან სარწმუნოება მოითხოვდა ქალის სრულს მორჩილებას წესების შესრულების დროს.

ჩვენი წინა-პარი მაგ წესების ნამდვილი თანა-მოზიარე ყოფილა. რომ ეს ასე არის, ამის ნიშნად ჩვენში დარჩენილა ზოგიერთა წესი, ან მეტნაკლებად შეცვლილი, ან სრულად გამქრალი და ზოგიერთა სიტყვებში კი გამოთქმული.

პ. მირიანაშვილი

13 დეკემბერს, 1885 წ.
ქ. პარიჟი.

ბის ნამტვრევებმა! უნებლიედ მაგონდება პოეტის სიტყვები, რომლებსაც იგი ათქმევინებს სოლომონ მსაჯულის «სათნო სოფიის» მკვდრს დედებზე

«რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!»

რომ მკითხველი არ შესწუხდეს უსიამოვნო ამბების კითხვით, ამ ჩემს წერილს დავაბოლოვებ სასიამოვნო ამბით, რომელიც, ასე თუ ისე, ნათელს ჰფენს აქაურს ბნელს ცხოვრებას. მე მოგახსენებთ ქართველთა-განმანათლებელს, მოციქულთა სწორს წმიდა ნინოს დღესასწაულის გადახდაზე ქ. გორში. ჩვენდა შესარცხვენად, ქართლში არც ერთი ეკლესია არ მოიპოვება წმიდა ნინოს სახელობაზე, გარდა ურბნისისა. მე მოგახსენებთ შიდა ქართლზედ, რომელსაც უფრო დაახლოვებით ვიცნობ. არც ერთს ეკლესიაში 14-ს იანვარს, ნინოს გარდაცვალების დღეს, არ იწირება. ქართლელმა კაცმა (რასაკვირველია, აქ მე დაბალი ხალხი მყავს სახეში) არ იცის ნინო ვინ იყო, რა ღვაწლი მიუძღვის მას საქართველოს ეკლესიისა და ერისადმი; არ იცის; ვიმეორებ, იმ წმიდა ადამიანის ვინაობა, რომელმაც გააცნო იგი ჯვარ-ცმულ მაცხოვარსა, მისცა მას სარწმუნოება ჯვარ-ცმულისა, გაანათლა სულით და ჩააყენა ქრისტეს სწავლით დაწინაურებულთა ერთა რაზმში, რომელმაც მისცა თავისსავე თმებით შეკრული ჯვარი ვაზისა, ჯვარი, რომელიც წინაუძღოდა ყოველ ქართველს გაჭირვების ჟამს და რომლის სახელითაც ჰქებავდა მამულს სისხლის ნაკადულით და არ უთმობდა მტერს ერთს ფეხის გადადგმასაც. აი ამისთანა მოღვაწე წმიდა მოციქული ქალი, საქართველოს სულიერი დედა, დავიწყებული ჰყავს მისგან დახსნილს ერს, და ასე გასინჯე თვით სამღვდელოებასაც. წელს გორის ოქონის ეკლესიის მღვდელმა ბლ. მისაილ ნასყიდაშვილმა იდღესასწაულა თავის მრევლში თოთხმეტი იანვარი. საღამოთი, ცამეტს, ზეთის კურთხევით გადიხადა ლოცვა; მეორე დღეს, როგორც ლოცვაზედაც, სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი ბ. ნიკ. ზერიშვილის ლოტბარობით, მშვენივრად ჰგალობდნენ ქართულად. წირვაზე ხალხი ბლომად დასწრო. წირვის შემდეგ მ. მისაილმა მშვენიერის ენა-მეტყველობით გააცნო თავისს სამწყსოს ნინო, მისი ღვაწლი. ხალხი გაოცებით ისმენდა სუსტი არსების გასაოცარს თავ-განწირულებას. ყველა დაატკბო გალობამ და მოძღვარის ტკბილმა საუბარმა ნინოზე. საზოგადოდ მღვდელი ნასყიდოვი შესანიშნავია ქართლის სამღვდელოთა შორის თავისის დაუცხრომელის შრომით, ღვაწლით თვის მოწაფეთა შორის. მან გაასახლა და განაშვენიერა გორში სამების ეკლესია, როდესაც იქ მღვდელობდა. გადმოიყვანეს თუ არა ოქონის ეკლესიაში, ფიცხლავე მიჰყო ხელი მის განახლებას. ოქონის ეკლესია აღშენებულია მეთერთმეტე საუკუნეში, ბაგრატ IV დროს; ხატი ამ ეკლესიისა, «ოქონის ღვთისმშობლისა», მოჰყვა ბაგრატის ცოლს ელენეს, საბერძნეთის მეფის დის-წულს, მზითევში. იგი ხატი დაასვენეს გორში, სადაც მისთვის ააშენეს საკუთარი ეკლესია. ეს ეკლესია დროთა ბრუნვისაგამო ძალიან დამველებულიყო, ასე რომ საშიში იყო მლოცველთათვის. მ. მისაილმა შეაგროვა ფული, დაანგრია ძველი, დაბალი, მინგრეულ-მონგრეული საყდარი და მის ადგილს აღმართა მშვენიერი, ფართო, ნათელი ტაძარი, სადგური ოქონის ღვთის-მშობლისა, რომელიც გორის მცხოვრებთ, ქართველთ თუ სომეხთ, დიდს პატივებაში ჰყავთ. მას შემდეგ მ. ნასყიდაშვილი არ ზოგავს თავის ცდას და შრომას, რომ სულიერადაც გაანათლოს თვის საყდარ-სამწყსო და ამიტომ ჰქადაგობს კვირა-უქმით. ვისურვებთ, რომ მ. მისაილს გამოსჩენოდნენ მიმბაძავნი, რომ ქართველთა ერი გამოეყვანოთ იმ წყვდიადისაგან, რომელშიაც იგი იმყოფება სარწმუნოების და რჯულის შესახებ. ამავე ეკლესიაში დაიარებიან გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი და ნ. ზერიშვილის ლოტბარობით გალობენ ქართულად ყოველ წირვა-ლოცვაზე (როგორც ზემოთაც გითქვით). ამის გამო ხალხი ბლომად დაიარება, რადგან სასოება გაეღვიძათ. ბ-ნი ზერიშვილი გალობის მასწავლებლად არის სასულიერო სასწავლებელში. მაგის მოსვლისათანავე, გულის სიმართლით ვიტყვით, აღსდგა ჩვენს ქართლში ქართული კარბელაშვილის გალობა; იგი არ ზოგავს თავს, ოღონდ კი მკვიდრს ნიადაგზედ დასდგეს ეს მივიწყებული და ახლად გაღვიძებული საქმე. ზერიშვილისავე მეოხებით აღსდგა ბევრი ქართული ძველი, სუფრის შემამკობელი სიმღერები, რომლებსაც ეხლა ყოველ შემთხვევაში გალობენ და მღერიან ეგრედ-წოდებულის აქაურ «ინტელიგენციის» სახლებში. ჩვენ ვიცით, რომ ბ-ნ ზ—შვილს ქართული სიმღერები აქვს ნოტებზე დაწყობილი. ურიგოს არ იზამს, რომ ქვეყანას აჩვენოს თავისი ნაღვაწი.

წაკოლა

დამაკვირდი!

— ჭეშმარიტი სიდიდე და დიდებულება ადამიანისა გულშია და არა თავში.
(ბოასტ)

* * *

— მიჯნურობის ომიდამ გაქცევა გამარჯვებაა. (იტალიანური ანდაზა)

* * *

— ჰსჯობია უბედურის ომის განსაცდელს მიეცეს კაცი, ვიდრე ფული გაიღოს მშვიდობიანობის დასაცავად.
(მონტესკიო)

* * *

ბევრი ქალია—ლამაზიც არის, უცხვირპიროც, დიდ-ტუჩაც, მაგრამ კაცს მაინც გულს უხიბლავს და იტაცებს ხოლმე. რითი? მარტო სახის მეტყველებით.
(ეტიენ დე-ნევილი)

* * *

თვალნი ქმრისანი ერთად-ერთი უტყუარი სარკეა, საცა ქალს შეუძლიან სამართლიანის თავ-მოწონებით თავისი ჭეშმარიტი სიტურფე დაინახოს.
(ტობენი)

* * *

დიდნი უბედურობანი დიდ ხანს არ გაჰსტანენ, წვრილნი ხომ ყურადღების ღირსნიც არ არიან. (ეპიკური)

* * *

ერთხელ როცა ლიზიმახი ჯერ კიდევ მეფეთ იყო, ჰკითხა თავის მეგობარს ფილიპპიდს, კომედიების მწერალს:

— ყოველი რაც კი მე მაქვს, იქიდამ რა გინდა რომ შენც გაგიზიარო?

— რაც შენი ნება იყოს, ხელმწიფევ, ოღონდ შენს საიდუმლოებში წილს კი ნუ დამიდებო უპასუხა ფილიპპიდმა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საბერძნეთი არ ისვენებს, ოსმალეთს ომის გამოცხადებას უპირებს, თუმცა ყველა სახელმწიფოები ერთობ ამის მოწინააღმდეგენი არიან. გაზეთები გვაუწყებენ, რომ საბერძნეთს უკვე შეუიარაღებია ხომალდები და მათ უფროსისათვის დაბეჭდილი კონვერტი ჩაუბარებიაო.

მერე რის იმედი აქვს ამ პატარა სახელმწიფოს? სადა აქვს იმოდენა ძალა, რომ მარტოდ მარტო შეეჭიდოს მძლავრს ოსმალეთს? საიდამ მიეცა ესეთი გული და გაბედულობა საბერძნეთს? ამის მიზეზი ადვილი მისახვედრია, თუ მოვიგონებთ, რომ ამ დღეებში ინგლისის სამინისტროს მეთაურობა გლადსტონმა მიიღო.

> გლადსტონი, ამბობს «Новое Время», დიდი ხანია ცნობილია, როგორც ერთგული მომხრე ბერძნებისა. ეს ექვსი წელიწადია, რაც იგი ხმა-მაღლივ აღიარებს, რომ არც თითონ, არც მისი მომხრენი სრულიადაც არ ფიქრობენ, ოსმალეთი უთუოდ და უთუოდ ხელშეუხებლად დარჩეს. ეტყობა დელიანისს ამის იმედი აქვს: იმ დროისთვინ, როდესაც ოსმალთა და ბერძენთ შორის შეიარაღებული ბრძოლა ატყდება ინგლისის მართველობის მოთავეთ ისეთი მოხელე კაცები იქნებიანო, რომ არამც თუ ხელს შეუშლიან ბერძნებს, შემწეობასაც მისცემენო.

რამდენად გამართლდება საბერძნეთის მოლოდინი, მომავალი გვიჩვენებს. გვგონია კი რომ გლადსტონი ერთად ერთი არ იკისრებს ესეთ მძიმე ტვირთს, მთელს ევროპას წინ არ აღუდგება და ინგლისის ერს განსაცდელში არ ჩააგდებს. მით უფრო დასაჯერებელია ეს, რომ

> ინგლისის გაზეთები, განაგრძობს იგივე გაზეთი, მხოლოდ ურჩევენ მინისტრს, ხელს ნუ გაანძრევო, თუ ვინიცობა ოსმალეთის ერთიანობას უმტროს ვინმეო, საბერძნეთის დახმარებაზე კი ხმასაც არ იღებენ. პირ-იქით ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ინგლისის ერი ხელს ვერ შეუწყობს ბერძნების საქმეს: ბალკანის ნახევარ-კუნძულზე ბერძნების გარდა სხვა წვრილი ეროვნობაც ბევრია, და ბერძნების გამარჯვება ამათის ინტერესების წინააღმდეგი იქმნებაო.

* * *

მოწყენილის საზოგადოების გასართობად და მსწავლულების თავ-სატეხად ერთი ახირებული საქმე ამოჩნდა. ამ რამდენისამე წლის წინად პეტერბურგში გამოჩნდნენ ორი ინგლისელი ბიშოპი და კუმბერლენდი, რომელნიც გულთ-მიმსნობას ჩემობდნენ, ვითომ სხვის ფიქრებს გებულობდნენ. რასაკვირველია, ამ გულთ-მისნებს ბევრი მიმბაძველნი გამოუჩნდნენ, — გამოდიან და სხვის აზრების საიდუმლოს საქვეყნოდ აცხადებენ. აი ეხლაც აქაური ფელდმანი თურმე გულთ-მისნობს პეტერბურგში.

> ამ დღეებში მამიხდა ჩვენის გულთ-მისნის ფელდმანის ნახვაო, იწერება პეტერბურგელი ფელეტონისტი «Русскія Вѣдомости»-ებში. შემზარავი საწყალი: გაფაციცებული დარბოდა ოთახში, სტოლები და სკამები სულ გადააბრუნა, ფარდები ჩამოგლიჯა, ფანჯრები მოიხილა და ვერას გახდა, ვერა გაიგო რა,—ცხადია, რუსის იდუმალს აზრს ეძებდა. ეძება ადესაში, კიევში, კიშინევში, ხერსონში და ვერ იპოვა; ბოლოს იფიქრა, მოდი პეტერბურგში წავალო; პეტერბურგი თავი, დედა ქალაქიაო, იქნება იქ მაინც ვიპოვო ეს აზრიო. დიახ, როგორ არა! დასცინოდნენ ბევრნი... მაგრამ აი ერთბაშად ხმაურობა მოისმა
>
> იპოვა, იპოვა! ყოჩაღ, ბარაქალა! გამოიცნო!
>
> მართლაც და ფელდმანმა გამოიცნო, იპოვა რუსის აზრი;—და იცით სადა?... იარალაშის შლემში.

მკითხველი რომ ეჭვში არ შევიდეს, უნდა აუხსნა, როგორ იყო ნამდვილად საქმე. ფელდმანმა თურმე სათამაშო ქაღალდის დასტიდამ ამოარჩია ცამეტი უფროსი ქაღალდი და შეადგინა ვისტის «შლემი». აი სწორედ ეს უნდა გამოეცნო ფელდმანს.

* * *

«Петербургскія Вѣдомости»-ბში ვკითხულობთ შემდეგ სასიამოვნო ამბავს:

> პეტერბურგში სდგება ახალი აქციონური საზოგადოება, რომელსაც თურმე თავნ ფულად კარგი თანხა აქვს შედგენილი. ამ საზოგადოებას განზრახვა აქვს შეიმუშავოს ნავთის წყაროები სულ ახალის სისტემით. ეს სისტემა ერთს ამერიკის ინჟინერს გამოუგონია, რომელიც ამ ხანად პეტერბურგში იმყოფება.

«ღმერთმა ქმნას! ჩვენს ქვეყანას დიდი მომავალი მოელის. გამოჩენილმა რუსის პროფესორმა მენდელეევმა იწინასწარმეტყველა: «კავკასიამ უნდა გაანათოს მთელი ევროპაო!»

უცხოეთი

ავსტრია. ავსტრიის ორ-პირი მმართებლობა მართლა ორ-პირად იქცეოდა აქამდე ბალკანის არეულობის საქმის შესახებ. ერთის მხრით ქვეყანას აჩვენებდა, ვითომ ეგ ესრედ-წოდებული აღმოსავლეთის საქმე, რომელიც დღეს ხელ-ახლად გაჩნდა, ჩემთვის არაფერი დიდი სანუკვარიაო, მაგრამ მეორეს მხრით ჩუმ-ჩუმად, გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ამ საქმის მიმდინარეობას. და როცა შეამჩნია, რომ ლამის საქმეს ბოლო მოეღოს და მე კი თავად ვერაფერს გამოვრჩეო, ხელი გამოიღო. 13 იანვარს გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფს გრაფს ანრაშის უკითხავს უნგრიის სამინისტროსათვის, რა გვარ პოლიტიკას ადგია ავსტრო-უნგრია გარეშე საქმეთა შესახებაო. ანდრაშის უკითხავს მინისტრ-პრეზიდენტისათვის: «მართალია, რომ პორტას და ბოლგარიის მთავარს შორის მოლაპარაკებაა რუმელიის საქმის გადასაწყვეტად და მართალია, რომ პორტა თანხმაა, ბოლგარიის მთავარი აღიაროს რუმელიის გამგებლადაც და თუ ეს მართალია, როგორ უცქერის ამ საქმეს სამინისტრო, ან როგორ ჰფიქრობს მოიქცეს შემდეგშიო»?

გრაფმა ანდრაშიმ ვრცლად მოუთხრა პარლამენტს, რა პოლიტიკას მისდევდა ამ საქმეში თვით, როცა მინისტრად იყო და წარმომადგენლობა ჰქონდა ჩაბარებული ბერლინის კონგრესზე. კონგრესმა დაამყარა ახალი წყობილება ბალკანიის სახელმწიფოსათვის და ეს წყობილება უნდა დაეცვა ოსმალეთსაო. თუ მაინც-და-მაინც ამის მიუხედავად ცვლილება მოხდა, ამის მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთმა თავი არ შეიდო და ვერ გამოიყენა უფლება რაც კონგრესმა მიანიჭაო. ეხლა, რასაკვირველია, წინანდელის ყოფის აღდგენა ბალკანებზედ ძნელია, საჭიროა მხოლოდ ისეთი მტკიცე წყობილება დაამყარდეს, რომ კიდევ მალე მოსალოდნელი არ იყოს ახალი არეულობა. რუმელიის და ბოლგარიის გაერთება თ-დის ალექსანდრეს გამგებლობის ქვეშ სრულიად არ დაამყარებს ისეთს სასურველს მტკიცე წეს-წყობილებასაო.

ეტყობა, მოისყინდა ავსტრიას სიტყვებით მოქმედება აღმოსავლეთის საქმეში და აღარ უნდა თავის ბელგრადელის რწმუნებულის გრაფის კევენგიულერის ხელში დასტოვოს თავისის პოლიტიკის სადავე. ახლა თვალადაც უნდა გამოიღოს ხელი ძველებურად. იქნება კიდევ ისეთი ლუკმა ჩაიგდოს, როგორც წარსულის რუსთ-ოსმალოს ომის დროს ჩაიგდო. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ გლადსტონი, რომელიც 18 იანვარს ხელ-ახლად სამინისტროს მოთავე შეიქმნა, უწინდებურად თითს კიდევ დაუქნევს და შერისხავს: «ხელები უკანაო», მაგრამ ამისი ავსტრიას არ ეშინიან. გლადსტონმა ბევრი უთხრა ავსტრიას: «ხელი უკან წაიღეო», მაგრამ მან ოკუპაციის სახით, ბოსნია და ჰერცოგოვინა ხელში ჩაიგდო. ახლაც რა აზრი უნდა ჰქონდეს ანდრაშის თქმას, რაც მოხდა მოხდა ბალკანზედ უწინ, იმის აღდგენა აღარ შეიძლებაო, თუ ის არა, რომ ბოლგარიის გულის მოგებაც უნდათ და მისის პოლიტიკის ისევე ხელში ჩაგდება, როგორც სერბიის პოლიტიკა ხელთ იგდესო.

სერბია. სერბიის მდგომარეობა დღეს მეტად გაჭირვებულია. არა თუ მარტო სერბიის სახელმწიფოში, არამედ ყველგან, საცა სერბიელები უმრავლესობას წარმოადგენენ, საერთო გაჭირვება და მღელვარებაა. სერბიელები ყველაზე მამაცნი, მხნენი და თავისუფლების მოყვარენი არიან. რუსთ-ოსმალოს ომის დაწყებამდე სერბიელები მუდამ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და არავის სრულად არ ემონებოდნენ. ვიდრე თვითონ ეს დიდი ომი დაიწყებოდა, სერბიელების რაზმები იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. და აი სწორედ ამ ერს ყველაზე მეტი სიმწარე ერგო წილად. ბოლგარიას თითქმის ერთი წვეთი სისხლიც არ დაუღვრია, ისე განთავისუფლდა, საბერძნეთსაც მთელი პროვინცია ერგო უომრად და სისხლიდამ დაცლილს სერბიას-კი ისეთი ქვეყნებიც არ არგუნეს, როგორც ბოსნია და ჰერცოგოვინა არის. ამას გარდა ამ დიდის ომის შემდეგ სერბია სრულიად ავსტრიის ხელში ჩავარდა. ავსტრიის პოლიტიკის ბრალია, რომ სერბიამ მონათესავე, ერთ-სისხლ და ერთ-ხორც ერთან ომიც-კი დაიწყო და თითქმის სასაცილოდ გაიხადა თავი მთელის ევროპის წინაშე... სერბიელები დღეს ავსტრიას ამტყუნებენ ყველა თავის უბედურებაში, მეტადრე «ნაპრედნიაკები», რომელთ ხელში იყო გამგეობა და მმართველობის საქმენი. ვერც დაგვამარცხებდნენ ბოლგარებიო, რომ კევენგიულერი არ ჩარეულიყო ჩვენს საქმეშიო და სწორედ იმ დროს არ შეეჩერებინა ომი, როცა ჩვენ უფრო გვემარჯვებოდა, ვიდრე ბოლგარელებსა, როცა ტყვეებიც ბევრნი გვეჭირა ხელში და წართმეული ზარბაზნებიცაო. ჩვენი ჯარი ხორვატოვიჩის ხელში იყო, რომელიც ავსტრიელია და როგორც ერთგული კათოლიკე ხორვატი ჩვენი მოძულეო, აგრეთვე ფრასნოვიჩი, სამხედრო მინისტრი იგივე ავსტრიელი ხორვატიაო. ამათ, ავსტრიის დახმარებით დაასუსტეს ჩვენი ჯარიო, გარყვნეს და გახრწნეს სრულიად იგიო.

ეკონომიურის მხრითაც ავსტრიელებმა დაძარცვეს ჩვენი ქვეყანაო თავიანთი კონცესიებით, ვაჭრებით და აქციონურ საზოგადოებათა მეოხებითაო. უსარგებლოდ ფულის სესხებას გვაყვედრიან, მაგრამ ის ფულიც ვენელმა, ბრიუნელმა და სხვა ავსტრიელმა ფოდრახიკებმა წაიღესო. ეხლა, ჩვენის ქვეყნის

ავლა-დიდება, ქონება და დოვლათი ლენდერ-ბანკის ხელშიაო. ავსტრიას არაფრად ეჭაშნიკებოდა, რომ ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა სასარბიელო იყოვო, ქვეყანამ ვალი არ იცოდა, ხალხს სუბუქი ხარჯი ედვა და ახლა კი სუყველაზედ ცარიელები დავრჩითო. ერთი ჯარი გვყავდა კარგი, 70—80 ათას კაცამდე და ისიც დაუძლურებულია დღეს ავსტრიის მოწყალებითაო.

* * *

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ. ბერძნები კიდევ ცალკე უჩივიან თავიანთ მდგომარეობას. რაც საბერძნეთში ინგლისისა და საფრანგეთის გავლენამ ფეხი მოიკიდა, ელლინების საქმე წარმატებაში ვეღარ შევიდაო. ჩვენ მეტი ღონე არა გვაქვს, უნდა იარაღს მოვკიდოთ ხელი და ისე ვეცადოთ პატარა საბერძნეთის გაძლიერებასა და გავრცელებასაო. დაე, ნუ ვარგა ჩვენი ჯარი, დაე ფლოტი სულ უვარგისია, ხაზინა ცარიელი, ნდობა არსაიდანა, ქვეყნის მეურნეობა დაცემულიო, მაინც საბერძნეთს აღარ შეუძლიან გულხელ დაკრეფილი იჯდესო. რაც უფრო ცუდი მდგომარეობა იქმნება, მით უფრო გვირჩევნიაო. დასაკარგი აღარა გვაქვს რაო.

ამ ყოფაშია საბერძნეთი ამ ჟამად თვით ბერძნების სიტყვითვე და აი ამ გვარ ყოფაში იგი ჰგზავნის თავის ფლოტს ოსმალეთისკენ და ფლოტის უფროსს დაბეჭდილ კონვერტებში ბძანებას ატანს თან. ეს ბრძანება უფროსმა მხოლოდ დანიშნულს ალაგს რომ მივა, მაშინ უნდა გახსნას და ყოვლად განუსჯელად უნდა დაემორჩილოს. საბერძნეთი ასე იქცევა სწორედ იმ დროს, როცა ინგლისი თხოულობს მისგან, რომ არამცა და არამც ოსმალოს წინააღმდეგ არა გაბედოს რა, და როცა ამის შესახებ ერთობილი ნოტა სახელმწიფოთა მოსდის. ზოგი ამბობს, რომ საბერძნეთს ამ ნოტისა იმიტომ არ ეშინიან, რომ დიპლომატია ძალას ვერ იხმარს იმის წინააღმდეგაო, მოლაპარაკებას გააბამს ამ გაზაფხულამდე და მაშინ კი საერთო არეულობა მოსდება ბალკანებზედაო. ზოგი ამბობს, რომ საბერძნეთსაც ბოლგარელებივით უნდა შეიერთოს რომელიმე ბერძნებით დასახლებული მხარე და მერე ითხოვოს ევროპისაგან ამ შეერთებაზე თანხმობაო. ბევრს ლაპარაკობენ გაზეთები აგრეთვე იმის თაობაზე, თუ საით წავა საბერძნეთის ფლოტი. ვისაც ახსოვს დეპეშებიდამ, რა სასო-წარკვეთილებით ითხოვდა კრიტის კუნძულის გუბერნატორი სავას-ფაშა ჯარს ოსმალეთისაგან წესიერების აღსადგენად, ის მიხვდება, რომ ამ ფლოტისთვის ყველაზედ ადვილი იქნება კრიტის კუნძულს მიადგეს და ადვილად გამოდევნოს იქიდამ ოსმალეთის მართველობა. ეს მით უფრო ადვილი იქნებაო, რომ კრიტელები მეტად მამაცნი არიან, დიდი ხანია ჰსურთ გამოვიდნენ ოსმალთ მონებიდამ და შეუერთდნენ საბერძნეთის სახელმწიფოსაო. თვით ევროპაც ამაზედ ძრიელ არ ახირდება, რადგან ჰხედავს, რომ საბერძნეთს უფლება აქვს მოითხოვოს კრიტის კუნძულის შემოერთება, რომელიც თითქმის სულ ბერძნებით არის დასახლებულიო. ვნახოთ, რა იქნება.

ᲡᲐᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ—478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ—42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 31 დღით არის.

21 დღე სამშაბათი. ღირ. მაქსიმე აღმსარებლისა, მოწ. ნეოფიტესი. სომეხ. წმ. კვირიაკე, დედისა მის იულიატესი, წმ. მოწ. გორდი და სხვ. კათ. აღნესასი, ევგენია და ერნესტისა. მაჰმადიანთა: 28 დღე რები-ულახირისა 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—13—58. ტფილისში მზე ამოდის 7—12; ჩადის 5—16. მთვარე ამოდის 6—43; ჩადის 4—45.

22 დღე ოთხშაბათი. წმ. ტიმოთე მოციქულისა, მოწ. ანასტასია. სომეხ. მარხვა კათ. ვიკენტისა და ანასტაზისი. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—5. ტფილისში ამოდის 7—11, ჩადის 5—17. მთვარე ამოდის 7—1; ჩადის 5—13.

23 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. კლიმენტი ეპისკოპ. ანკივრელ. სომეხ. ვაჰან გოლნელ; ევგენია ქალწ. და სხვ. მაჰმად. 1 დღე თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1303 ჰიჯრისა. 6 საათზე 15 წუთზე ახალი მთვარე დგება ტფილისისათვის. ჭეშმარიტი შუა დღე 12—14—10. ტფილისში მზე ამოდის 7—10; ჩადის 5—19. მთვარე ამოდის 7—18; ჩადის 5—40.

24 დღე პარასკევი. ღირსისა დედისა ქსენისი, წმ. მოწ. ბაბილასი. კათ. ტიმოთე ეპისკ. და იაროსლავისა, ჭეშმარიტი შუადღე 12—14—15. ტფილისში მზე ამოდის 7—9; ჩადის 5—20. მთვარე ამოდის 7—43; ჩადის 6—28 ნღ.

25 დღე შაბათი. წმ. გიორგი ღვთისმეტყველისა; სომეხ. წმ. აიანასი, კირილე მამა-მთავრისა. კათოლ. პავლესი, ანანასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14—19. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე ამოდის 8—16; ჩადის 7—30 ნ.-ღ.

26 დღე კვირა. ღირსი ქსენოფონტი; დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართლისა 1089—1155. კათოლ. პოლიკარპ. ეპისკ. და პავლინისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—14—23. ტფილისში მზე ამოდის 7—7; ჩადის 5—23. მთვარე ამოდის 8—47; ჩადის 8—27 ნ.ღ.

27 დღე ორშაბათი. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მამისა იოანე ოქროპირისა; სომ. ევგენ, მაკარ და სხვ. კათოლიკ. იოანე ოქროპ. და დაციასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—25. ტფილისში მზე ამოდის 7—6; ჩადის 5—24. მთვარე ამოდის 9—19; ჩაჩადის 9—27 ნღ.

გამოსადევი ცნობანი.

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ. . . .	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2¼ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა . . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . . .	3½ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა .	8 »
2 — . . .	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	7 »
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ. .	5 »
2-ის ხარისხ. . .	4 »

* * *

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართებლობა ამით აუწყებს მფლობელთ მესამე სერიის გირავნობის ფურცელთა, რომელნიც გამოცემულნი არიან 27 წ. 6 თთვით, 54 და 6 თვით, რომ ამ გირავნობის ფურცლებზედ კუპონების ფურცელი დასრულდა და უნდა მიიღონ ახალი კუპონის ფურცელი ძველის ტალონის სამაგიეროდ. ძველის ტალონების ახალი კუპონის ფურცელზე გამოთვლისათვის უნდა მიმართონ ტფილისში თვითონ ბანკის მმართებლობას და ს.-პეტერბურგში ვაველბერგის საბანკირო სახლს 1 იანვრიდამ 1 მაისამდე, ხოლო 1 ნოემბრიდამ მარტოდ განსაკუთრებით ბანკის მმართებლობას. ახალი ფურცელი კუპონებისა გარდაეცემათ, ვინც ძველს ტალონებს წარმოადგენენ. თუ ამისათვისვე მიმართვენ კომისიოებს, უნდა წარუდგინონ თითო გირავნობის ფურცელზედ თითო შაური კამმისიისათვის.

თუ ვინიცობაა, ძველი ტალონები ფოსტით იქმნება გამოგზავნილი, უნდა აღნიშნული იყოს გარკვევით და ზედ-მიყოლილის რიგით სერიის ნუმერი, ვადა და ღირებულისა, აგრეთვე ადრესიც, რომლითაც ახალი ფურცელი კუპონისა უნდა გაგზავნილ იქმნას.

(1—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41 годъ изданія).

Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ достакою въ тифлисѣ:

На годъ . . .	11 р. 50 к.
» полгода . . .	6 р. — »
» 3 мѣсяца . . .	3 р. 50 к.
» 1 мѣсяцъ. . .	1 р. 50 к

съ пересылкою

по имперіи	по почтовому союзу
13 р.	18 р. 40 к.
7 р.	10 р. — »
4 р.	6 р. — »
1 р. 75 к. . .	2 р. — »

подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газеты «КАВКАЗЪ».*

დაიბეჭდა და ისყიდება
საყმაწვილო სურათებიანი წიგნი
„მელიას თავ-გადასავალი“
წიგნში 33 სურათია, ფ. 20 კ.

ისყიდება გრიქუროვისა და ცენტალურს წიგნის მაღაზიაში. ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან დაიბარებს არა ნაკლებ ოცის წიგნისა, მას მანათზედ ერთი აბაზი დაუთმობა. ადრესი: Тифлисъ, Татишвили, Акимовская ул. № 22.

(5—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1886 годъ

НА ГАЗЕТУ

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(III ГОДЪ ИЗДАНІЯ).

выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

Газета въ 1886 году будетъ выходить подъ прежней редакціей, по прежней программѣ, при участіи тѣхъ-же сотрудниковъ.

подписная цѣна съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ . .	10 р. — к.	На 6 мѣсяцевъ . .	6 р. — к.
» 11 » . .	9 » 50 »	« 5 » . . .	5 » 25 »
» 10 » . .	8 » 75 »	« 4 » . . .	4 » 75 »
» 9 » . .	8 » — »	« 3 » . . .	3 » 50 »
» 8 » . .	7 » 25 »	« 2 » . . .	2 » 75 »
» 7 » . .	6 » 50 »	« 1 » . . .	1 » 50 »

За границу на годъ 17 руб., на полгода 9 руб. 50 коп.

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городского на иногородный—1 руб.

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія; на всѣхъ языкахъ, принимаются въ Тифлисѣ - въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ г. Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при агентствѣ Шавердова.

Статьи и корреспонденціи адресуются въ Тифлисъ, въ редакцію «Новаго Обозрѣнія». Принятыя статьи могутъ подлежать сокращеніямъ и поправкамъ. Мелкія рукописи, размѣромъ не болѣе двухъ писанныхъ листовъ, не возвращаются. Прочія возвращаются по личнымъ требованіямъ авторовъ и сохраняются только въ теченіе одного мѣсяца. Ни въ какую переписку по поводу напечатанія или ненапечатанія присланныхъ статей редакція не входитъ. статьи, доставленныя безъ опредѣленныхъ условій гонорара, принимаются какъ безплатныя. Редакція открыта для личныхъ обясненій отъ часу до двухъ по полудни.

(9—3)

въ городѣ карсѣ.
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА
Карсской Области

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

на будущій 1886 годъ

газета «КАРСЪ» въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаняхъ, какъ и въ текущемъ году. по тойже программѣ и подъ тою-же редакціею.

условія подписки

съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, въ четыре мѣсяца одинъ рубль. Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «КАРСЪ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ, а потомъ редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

Дозволено цензурою Тифлисъ 21 января, 1886 года ქვთაიმე ი. ხელაძის სტამბა სასპერნის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.